



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
თ ე რ ჯ ო ლ ა
მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა N 46/27

05/03/2018

ი. სირაძისათვის „ადამიანური რესურსების მართვის საკითხებში პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტის“ ფუნქციების დროებით დაკისრების შესახებ

საქართველოს კანონის „საჯარო სამსახურის შესახებ“ 50-ე მუხლის მეორე პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „საჯარო დაწესებულებაში ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის 30-ე მუხლის პირველი პუნქტის და თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2018 წლის 2 მარტის N 46/26 ბრძანების შესაბამისად **ვბრძანებ:**

მუხლი 1. თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის „მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის საქმისწარმოების საკითხებში“ ირინა სირაძეს დაეკისროს „ადამიანური რესურსების მართვის საკითხებში პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტის“ ფუნქციები 2018 წლის 5 მარტიდან 2018 წლის 16 მარტის ჩათვლით. დროებითი ფუნქციების შესრულების პერიოდში მიეცეს არმყოფი მოხელის თანამდებობრივი სარგო.

მუხლი 2. ბრძანება ჩაბარდეს თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურს და ირინა სირაძეს.

მუხლი 3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ზესტაფონის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ზესტაფონი, წერეთლის ქ.№7), დაინტერესებული მხარისათვის მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ნინო ჯანელიძე

საკრებულოს თავმჯდომარე

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულო